
თემა - 17

პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის

შინაარსი

- ❖ საგადასახადო პასუხისმგებლობის ცნება, გამოყენების პირობები და წესი;
- ❖ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები;
- ❖ საგადასახადო სამართალდარღვევის სუბიექტები;
- ❖ საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები;
- ❖ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის;
- ❖ საგადასახადო შეთანხმება.

17 . 1 . საგადასახადო პასუხისმგებლობის ცნება, გამოყენების პირობები და წესი

საგადასახადო სისტემამ არ შეიძლება იარსებოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გარეშე. კანონით დადგენილი გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებებით, აგრეთვე ფინანსური სანქციებით.

იურიდიული პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის წარმოადგენს იბულებითი ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც სასჯელის სახით გამოიყენება სამართალდამრღვევთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა იურიდიული პასუხისმგებლობა, საგადასახადო პასუხისმგებლობა ეყარება კანონიერების, სამართლიანობის, გარდაუვალობის და ა.შ. პრინციპებს.

საგადასახადო პასუხისმგებლობის **გამოყენების საფუძველია:**

- ნორმები, ე.ი. მისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სისტემა;
- ფაქტები, ე.ი. კონკრეტული სუბიექტის ქმედება, რომელიც არღვევს პასუხისმგებლობის ზომებით დაცულ სამართლებრივ ნორმებს;
- პროცესუალური მოქმედებები, ე.ი. კომპეტენტური ორგანოს აქტი კონკრეტული საგადასახადო სამართალდამრღვევის მიმართ კონკრეტული ჯარიმის დაკისრების შესახებ.

საგადასახადო პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენებისათვის აუცილებელია სამი საფუძველი: ნორმატიული, ფაქტობრივი და პროცესუალური.

საფუძველები უნდა წარმოიქმნას განსაზღვრული თანმიმდევრობით. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია არსებობდეს ნორმა, რომელიც ადგენს ვალდებულებას და სანქციას მისი შეუსრულებლობისათვის. შემდეგ უნდა წარმოიშვას ფაქტობრივი საფუძველი – საგადასახადო სამართალდარღვევა. ნორმისა და საგადასახადო სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილი სუბიექტი, კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრავს სახდელს საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

ვლადპარაკობთ რა ნორმის არსებობის შესახებ, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ ფინანსური სანქციები საგადასახადო სამართალდარღვევისათვის გამოიყენება იმ კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებდა სამართალდარღვევის ჩადენის დროს და არა საგადასახადო შემოწმების ჩატარების მომენტში.

საგადასახადო სამართალდარღვევებს, როგორც წესი, გააჩნია მატერიალური შემადგენლობა, ე.ი. პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ შედეგის არსებობის შემთხვევაში, რაც შეიძლება გამოიხატოს ბიუჯეტში გადასახადების არასრულყოფილად ჩარიცხვის სახით. თუ საწარმოს ანგარიშგებაში ნაჩვენებია ზარალი 20 ათასი ლარის ოდენობით და შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოს არასწორად აქვს გამოქვითული ხარჯები, 20 ათასი ლარის

ოდენობით, ასეთ შემთხვევაში ფინანსური სანქცია არ გამოიყენება, ვინაიდან ფინანსური შედეგი აქ ნულის ტოლია.

საგადასახადო წარმოება ობიექტურად შედგება ოთხი სტადიისაგან:

- **საგადასახადო გამოძიება;**
- **საქმის განხილვა;**
- **გადაწყვეტილების გადასინჯვა;**
- **გადაწყვეტილების აღსრულება.**

საგადასახადო გამოძიება წარმოადგენს საგადასახადო კონტროლის ნაწილს, ე.ი. ნორციელდება გადასახადის გადამხდელის საქმიანობის შემოწმების დროს.

საგადასახადო გამოძიების დაწყებას წინ უსწრებს ინფორმაციის მიღება იმ ქმედების შესახებ, რომელიც შეიცავს საგადასახადო სამართალდარღვევის ნიშნებს. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში საგადასახადო გამოძიება წარმოებს წინასწარი ინფორმაციის გარეშე, ხოლო საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენა და მის შესახებ ინფორმაციის შეგროვება (საგადასახადო გამოძიების ძირითადი ამოცანა), როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა. თუ შემოწმების დროს გამოვლინდა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული შემოწმება უნდა ჩავთვალოთ საგადასახადო გამოძიებად.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოქმედი ნორმატიული აქტებით საგადასახადო გამოძიების სტადიები და საქმის განხილვის სტადიები მკაფიოდ არ არის გამიჯნული, ვინაიდან შემოწმების აქტი მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება არც ნიშნავდეს საგადასახადო გამოძიების დამთავრებას.

საქმის განხილვა უნდა მოიცავდეს საქმის განხილვისა და მოსმენისათვის მომზადებას, შეგროვილი მასალებისა და საქმის გარემოებების ანალიზს, გადაწყვეტილების მიღებას და გადაწყვეტილების დაყვანას გადამხდელამდე.

მოცემულ სტადიაზე უნდა დადგინდეს: კომპეტენტურია თუ არა ორგანო განიხილოს აღნიშნული საქმე; აქვს თუ არა ადგილი საგადასახადო სამართალდარღვევას (არის თუ არა შემადგენლობა); დამნაშავეა თუ არა პირი; ექვემდებარება თუ არა იგი პასუხისმგებლობას; არის თუ არა საფუძველი გადასახადის გადავადების შესახებ და ა.შ.

გადაწყვეტილების გადასინჯვის სტადია წარმოადგენს ფაქულტატურ, ე.ი. არასავალდებულო სტადიას. იგი მდგომარეობს იმ პირის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლებაში, რომლის მიმართაც იქნა გამოტანილი და კომპეტენტური ორგანოების ვალდებულებაში განიხილონ მოცემული საჩივარი. საქმის გადასინჯვა მდგომარეობს გადაწყვეტილების მიმღები საგადასახადო ორგანოს ან ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ საქმის ხელახალ განხილვაში, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

გადაწყვეტილების აღსრულება – წარმოების დამამთავრებელი სტადიაა. იგი მდგომარეობს სახდელის პრაქტიკულ განხორციელებაში. გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში დასაქმებული არიან სხვადასხვა სუბიექტები – საგადასახადო ორგანოები, ბანკები, სააღსრულებო სამსახურები და სხვ.

17 . 2 . გადასახადის გადამხდელის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები

ცალკეულ შემთხვევაში, საგადასახადო კანონმდებლობის დამრღვევი გადასახადის გადამხდელი შეიძლება გათავისუფლდეს საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან მაშინაც კი, როდესაც მისი ქმედება შეიცავს საგადასახადო სამართალდარღვევის შემადგენლობას.

გადასახადის გადამხდელი თავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, როდესაც იგი:

- დაუშვებს შეცდომას, რომლის შედეგადაც გადახდილი არ არის ან არასრულყოფილად გადახდილი გადასახადის თანხები;
- დამოუკიდებლად, საგადასახადო ორგანოების შემოწმებამდე, გამოავლენს დაშვებულ შეცდომას;
- დადგენილი წესით შეიტანს შესწორებებს საბუღალტრო ანგარიშგებაში და საგადასახადო დეკლარაციებში.

გადასახადების გამოანგარიშებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომები, რომლებიც დამოუკიდებლად გამოვლენილი გადასახადის გადამხდელების მიერ და თავისდროულადაა დაყვანილი საგადასახადო ორგანოებამდე, არ წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევებს. აღნიშნულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელის მიმართ ჯარიმები არ გამოიყენება და მას გადახდება მხოლოდ საურავი გადასახადის არათავისდროული გადახდის გამო.

ზოგიერთ ქვეყნაში საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს საგადასახადო **ამნისტია**, რომელიც შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) მიერ.

საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს საფუძვლებს, როდესაც პირი, რომელმაც არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, თავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულება შეუძლებელი იყო დაუძლეველი ძალის შედეგად. დაუძლეველ ძალაში იგულისხმება მოცემულ პირობებში საგანგებო და დაუძლეველი გარემოებები.

საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი, დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია გაანთავისუფლოს კეთილსინდისიერი გადამხდელი საგადასახადო სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეული იყო გადამხდელის შეცდომით / არცოდნით.

საგადასახადო სამართალდარღვევის ცნება და ნიშნები

საგადასახადო სამართალდარღვევა წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც გამოიწვევს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში, რითაც ირღვევა საგადასახადო ურთიერთობათა მონაწილეების უფლებები და კანონიერი ინტერესები. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის დაწესებულია იურიდიული პასუხისმგებლობა.

საგადასახადო სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- საგადასახადო სამართალდარღვევა წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ე.ი. ქმედებას, რომელიც არღვევს საგადასახადო სამართლის ნორმებს. ქმედება, რომელიც გარკვეულ ზიანს აყენებს სამართლის ნორმებით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაგრამ არ არის დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევასთან, არ წარმოადგენს სამართალდარღვევას. მაგალითად, გადასახადის შემცირება კანონმდებლობაში არსებული თეთრი ლაქების გამოყენებით, არ განიხილება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად;
- აღნიშნული ქმედება ბრალეულია, ე.ი. ქმედება გაცნობიერებულია, სამართალდამრღვევის დამოკიდებულება მის მიმართ იმსახურებს გაკიცხვას.

ბრალი, ისევე როგორც სამართალდარღვევის ნებისმიერი სხვა ნიშანი, წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირის იურიდიულ პასუხისგებაში მიცემის საგადასახადო პირობას. პირის ქმედებაში ბრალის არარსებობა, თუნდაც ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგო იყოს, გამორიცხავს სანქციის გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, დადგენილ ვადებში საგადასახადო დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობა გადასახადის გადამხდელის მძიმე ავადმყოფობის გამო, არ უნდა იწვევდეს ჯარიმის გამოყენებას, ვინაიდან გადასახადის გადამხდელი არ არის ბრალეული მის მიერ დარღვეული ნორმატიული აქტის მოთხოვნაში;

- აღნიშნულ ქმედებასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. მართლსაწინააღმდეგო შედეგი უნდა იყოს კანონში მითითებული ქმედების შედეგი. ასეთი კავშირის არარსებობა გამორიცხავს შესაბამისი პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენებას. მაგალითად, გადასახადის შემცირებისათვის სანქციის გამოყენების პირობას წარმოადგენს გადასახადის შემცირება. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს აღნიშნული სანქცია უნდა დადგინდეს არა მხოლოდ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ფაქტი, არამედ ისიც, რომ იგი წარმოიშვა სწორედ საგადასახადო ბაზის შემცირების შედეგად, რაც განხორციელდა გადასახადით დასაბეგრი ობიექტის საგადასახადო დეკლარაციაში შემცირებული ოდენობით ასახვის ან აუსახველობის გზით;
- აღნიშნული ქმედება დასჯადია; ფინანსური სანქციის გამოყენების შესაძლებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის საერთო თვისებას; საგადასახადო კანონმდებლობის ყოველი ნორმის დარღვევა არ წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი არ ითვალისწინებს ფინანსური სანქციების გამოყენებას. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის სანქციის არარსებობა უნდა ავსნათ საკანონმდებლო ტექნოლოგიის დაბალი დონით.
- ზემოაღნიშნული ნიშნები დამახასიათებელია ყველა საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

17 . 3 . საგადასახადო სამართალდარღვევის სუბიექტები

საგადასახადო სამართალდარღვევის სუბიექტებს, როგორც წესი, წარმოადგენს გადასახადის გადამხდელი. გადასახადის გადამხდელის გარდა, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, საგადასახადო სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილ იქნეს სხვა პირების მიერ (მაგალითად, გადასახადის დაუკავებლობა საგადასახადო აგენტის მიერ).

საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტებია:

- **გადასახადის გადამხდელები (იურიდიული პირები, ფიზიკური პირები და სხვა კატეგორიის გადამხდელები);**
- **საგადასახადო აგენტები;**
- **ბანკები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გადასახადების ვადარიცხვაზე ბიუჯეტში ან სახელმწიფო ფონდებში.**

საგადასახადო სამართალდარღვევის სუბიექტები ხასიათდება განსაზღვრული ნიშნებით, რომელთა არსებობისას შესაძლებელია პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენება. აღნიშნული ნიშნები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსხვავებულია. მაგალითად, კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევა დამახასიათებელია მხოლოდ ფიზიკური პირისათვის.

ფიზიკურ პირს პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევისათვის შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მიაღწია კანონით განსაზღვრულ ასაკს და ამავდროულად ეს პირი იმყოფება შერაცხად მდგომარეობაში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას 16 წლის ასაკიდან, ხოლო სისხლის სამართლის კანონმდებლობა – 14 წლის ასაკიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით საგადასახადო სამართალდარღვევისათვის ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემის ასაკი პირდაპირ განსაზღვრული არ არის, თუმცა არსებობს მითითება პირის ქმედუნარიანობაზე. ქმედუნარო პირის საგადასახადო ვალდებულება სრულდება მისი კანონისმიერი წარმომადგენლის (მშობელი, მეურვე და ა.შ.) მიერ. ამდენად, სწორედ ეს უკანასკნელი აგებს პასუხს გადამხდელი პირის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. მთელ რიგ ქვეყნებში პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დგება 16 წლის ასაკიდან, ზოგიერთ ქვეყანაში კი – 14 წლის ასაკიდან. არსებობს მოსაზრებები, რომ მიზანშეწონილია საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა დადგეს 14 წლის ასაკიდან. რთულია დავეთანხმოთ აღნიშნულ პოზიციას, ვინაიდან პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ასაკის ძალით შესწევს უნარი გააცნობიეროს თავისი მოქმედებების მართლწინააღმდეგობა. საგადასახადო კანონმდებლობა აღქმისათვის საკმაოდ რთულია. ამასთან, საშუალო სასწავლო დაწესებულებებში საგადასახადო სამართალი არ ისწავლება.

ფიზიკური პირის შესაძლებლობა, ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებებს ან უხელმძღვანელოს მათ, განისაზღვრება არა მხოლოდ ამ პირის ასაკით. მეორე ნიშანია შერაცხადობა, ე.ი. ფსიქიკის მდგომარეობა, რომლის დროსაც პიროვნებას შეწევს უნარი გააცნობიეროს თავისი ქმედების მნიშვნელობა და უხელმძღვანელოს მას.

საგადასახადო სამართალდარღვევის სუბიექტებია საწარმოებიც (ორგანიზაციებიც). საქართველოს საგადასახადო კოდექსი საწარმოებს (ორგანიზაციებს) მიაკუთვნებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირებს, უცხო ქვეყნების

კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ კორპორაციებს, კომპანიებს, ფირმებსა და სხვა მსგავს წარმონაქმნებს, სახელმწიფოთაშორის და სამთავრობათაშორის ორგანიზაციებს, ფონდებს, დაწესებულებებს, ასოციაციებს და ა.შ.

საწარმოები (ორგანიზაციები) წარმოადგენენ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექტებს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის შემთხვევაში საწარმოს (ორგანიზაციის) მიმართ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება არ ათავისუფლებს ამ საწარმოს (ორგანიზაციის) თანამდებობის პირებს, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლებრივი ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

17 . 4 . საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები

საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვეტილია ნორმატიული აქტებით. უპირველეს ყოვლისა კი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, ადმინისტრაციულ- სამართალდარღვევათა კოდექსით, სისხლის სამართლის კოდექსით.

პასუხისმგებლობის სუბიექტიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს საგადასახადო პასუხისმგებლობის სამ დამოუკიდებელ სახეს:

- გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის წესის დარღვევისათვის
- საგადასახადო აგენტის პასუხისმგებლობა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობისათვის .
- ბანკებისა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის გადასახადის გადამხდელთა და იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ გადასახადების გადახდას, დგება მათ მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შემადგენლობიდან დამოუკიდებელი ხასიათის მქონე ერთ-ერთი მათგანის ჩადენის შემთხვევაში. მოცემულ შემადგენლობებს მიეკუთვნება:
 - გადასახადის შემცირება;
 - დეკლარაციებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების ფორმების დაგვიანებით წარდგენა;
 - გადასახადის თანხის დადგენილი ვადისათვის გადაუხდელობა;
 - გადასახადის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობა;

- მატერიალური ფასეულობებისა და საქონლის საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხაობა ან მათი შექმნა სასაქონლო ზედნადების გარეშე;
- საგადასახადო აღრიცხვის გარეშე საქმიანობის განხორციელება;
- ეკონომიკური საქმიანობისათვის შექმნილი ან მიწოდებული მატერიალური ფასეულობების ან საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება;
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე ფუნქციონირება;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში დასაბეგრი ბრუნვისა და დღგ-ის თანხის ჩაუწერლობა ან არასწორად ჩაწერა, აგრეთვე ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობა;
- ბანკებისა და ცალკეული სახეობის საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის სამართალდარღვევის შემადგენლობას, საგადასახადო ორგანოებს არა აქვთ სანქციის გამოყენების უფლება.

17 . 5 . სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტებს წარმოადგენენ მხოლოდ ფიზიკური პირები;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგენილია სისხლისსამართლებრივი ნორმებით, რომლებიც გადმოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ყველაზე მკაცრ სახელმწიფო იძულების ღონისძიებებს.

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **მე-200** მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვისათვის.
- მე **200**-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობისა ან საქონლის შექმნისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმისას.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **218**-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გადასახადისაგან თავის არიდებისათვის.

მოცემული მუხლი ასახელებს მხოლოდ დანაშაულებრივ ქმედებას, მაგრამ კონკრეტულად რაში მდგომარეობს იგი, რა ფაქტობრივი მოქმედებები უნდა განვიხილოთ გადასახადისათვის თავის არიდებაში, სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე საგადასახადო დანასიათებაც.

გადასახადებში იგულისხმება როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. გადასახადებში არ იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მოსაკრებლები, აგრეთვე სხვა სავალდებულო შენატანები.

გადასახადისაგან თავის არიდებაში იგულისხმება გადასახადის გადამხდელის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი ქმედება, რომლის მეშვეობითაც იგი ამცირებს თავის საგადასახადო ვალდებულებას.

გადასახადისაგან თავის არიდება, ძირითადად, შეიძლება გამოიხატოს მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დამალვაში (შემცირებაში), საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვის უქონლობაში, აგრეთვე მიღებული ამონაგებისა (შემოსავლისა) და ხარჯების არასწორად აღრიცხვაში, რის შედეგადაც გადასახადები სრული ოდენობით არ ჩაირიცხება ბიუჯეტში.

გადასახადებისაგან თავის არიდება შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოქმედებით (მაგალითად, საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტებში პირი არასწორად ასახავს შემოსავლების ან გამოქვითვების შესახებ მონაცემებს), ასევე უმოქმედობით (საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტებში პირი არ ასახავს გადასახადით დასაბეგრი ობიექტს).

გადასახადისაგან თავის არიდებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე სახის გადასახადის გადაუხდელი თანხა აღემატება ორმოცდა ათას ლარს, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე სხვადასხვა სახის გადასახადის გადაუხდელი თანხა აღემატება ორმოცდა ათას ლარს.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი – მეწარმე, აგრეთვე პირი, რომელიც ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ან საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტების შესაბამისად, ვალდებულია უზრუნველყოს გადასახადების გამოსაანგარიშებლად საჭირო მონაცემების უტყუარობა (ხელმძღვანელი). გადასახადის სუბიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე პირი, რომელიც საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ვალდებულია გადაიხადოს საბაჟო გადასახადი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, იმავე ქმედებას, ჩადენილს არაერთგზის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

გადასახადისათვის თავის არიდება ითვლება ჩადენილად განსაკუთრებით დიდი ოდენობით, თუ გადაუხდელი გადასახადის თანხა აღემატება ორმოცდა ათას ლარს.

17 . 6 . საგადასახადო შეთანხმება

გადასახადის გადამხდელთან, გადამხდელის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება. შემოსავლების სამსახური საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს შეუმციროს გადასახადები ან / და სანქციები, თუ გადასახადის გადამხდელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულების დაფარვას.

საგადასახადო შეთანხმება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც თუ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო შემოწმების ჩატარებამდე ან შემოწმების დასრულებამდე განაცხადებს მის მიერ არადეკლარირებული და შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებების ჯამურ ოდენობას.

გადამხდელი ვალდებულია მთავრობის მიერ დადგენილ ვადებში გადაიხადოს შეთანხმებული თანხა ვადის დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება 0.5 % ყოველ გადაცილებულ დღეზე.

საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმების შემდეგ, დაუშვებელია ამ პერიოდზე ან გადასახადებზე საგადასახადო ორგანოების მიერ დამატებითი გადასახადის დარიცხვა ან გადამხდელის მიერ გადასახადის დაზუსტება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

კარი XIII

საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

თავი XXXIX

ზოგადი დებულებანი

მუხლი 269. საგადასახადო სამართალდარღვევა და საგადასახადო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები

1. საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით.

2. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა.

- 2'. თუ საგადასახადო დავის განხილვის დასრულებამდე კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, დავის განმხილველი ორგანოვალდებულია გამოიყენოს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.
3. ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საწარმოს/ორგანიზაციას და ფიზიკურ პირს. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადების გადახდის ვალდებულებისაგან.
4. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის საწარმოს/ორგანიზაციის მიმართ საგადასახადო სანქციის გამოყენება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას არ ათავისუფლებს მის თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.
5. პირს ამ კარით **დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად** დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის:
- სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);
 - საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება;
 - მასობრივი არეულობა, გაფიცვა.

6. დეკლარაციის/გაანგარიშების მიხედვით არასწორად ნაჩვენები ინფორმაციის გამო ამ კარით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება პირს, რომელმაც საგადასახადო ორგანოს წარუდგინა შესწორებული დეკლარაცია/გაანგარიშები საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე

6'. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

7. საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ამ კოდექსით

გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

7¹. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

8. ამ კარის მიზნებისათვის სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად ჩაითვლება, თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინა სამართალდარღვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში. ამასთანავე, ამ კოდექსის 281-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა განმეორებით ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ პირმა ამავე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები ჩაიდინა ერთსა და იმავე დღეს, ტერიტორიულად განცალკევებულ ობიექტებზე.

9. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის გარეშე, პირს განუსაზღვროს ვადა საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის მოქმედების პერიოდში პირს იმავე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. (8.11.2011. N5202)
10. ამ კოდექსის 288'4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ფიზიკურ პირს, რომელმაც ისარგებლა დაუბეგრავი მინიმუმის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვისა და შესაბამისი გადასახადის თანხის დაბრუნების/ჩათვლის უფლებით, ამ კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.
11. საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტი უქმდება, თუ ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება აღიარებულია და გადასახადის გადამხდელს საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში სრულად აქვს გადახდილი საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული გადასახადები და ჯარიმების 50 პროცენტი.

მუხლი 270. საგადასახადო სანქცია

1. საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

2. საგადასახადო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის, სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. (27.03.2012. N5942)

3. ერთი და იმავე საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს არ შეიძლება დაეკისროს სხვადასხვა პასუხისმგებლობა ან განმეორებით დაეკისროს პასუხისმგებლობა.

4. რამდენიმე საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე, ამასთანავე, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქმავს ნაკლებად მკაცრ სანქციას.

5. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

6. საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

7. ამ კოდექსის 281-ე მუხლით, 286-ე მუხლის პირველი და მე-11 ნაწილებითა და 291-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის (გარდა განმეორებით ჩადენილი ქმედებებისა) ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება.

მუხლი 271. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს საგადასახადო ორგანო. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, გარდა ამ მუხლის 1' ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

1'. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.

2. საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართალდარღვევა საგადასახადო შემოწმების აქტშია დაფიქსირებული.

- 2'. ამ კოდექსის 277-ე–279-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს ასევე ადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო. (22.02.2011. N4206)

3. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

4. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება საგადასახადო მოთხოვნად. (20.05.2011. N4705)

5. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი გასაცნობად წარედგინება სამართალდამრღვევ პირს, რომელსაც უფლება აქვს, წარმოადგინოს განმარტებები და შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმში ან დაერთება მას. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ერთი ეგზემპლარი ბარდება ან ეგ ზავდება სამართალდამრღვევ პირს.

6. თუ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე მონაცემი ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია კანონის დარღვევით, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი ან დავის განმხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. (24.06.2011. N4963)

7. დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეზე გამოსცემს ბრძანებას. **საგადასახადო სანქციის დაკისრების შესახებ გამოცემული ბრძანება ითვლება საგადასახადო მოთხოვნად.** ზემოაღნიშნული ვადის დარღვევით გამოცემული ბრძანება ბათილია. (8.11.2011. N5202)

9. ამოღებულია (20.05.2011. N4705)

10. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

11. ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა .

თავი XL

საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა

მუხლი 272. საურავი

1. საურავი არის საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის.

1¹. საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის გაფორმებისას დადგენილ ვადაში გადაუხდელი იმპორტის გადასახდელის ან საქონლის დროებით შემოტანის თანხის გამოვლენის შემთხვევაში საურავის დაკისრება შეიძლება განახორციელოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა სამსახურმა საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესით.

2. საურავი ერიცხება გადასახადის თანხას, რომელიც არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამს შორის. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საურავის დარიცხვა ხორციელდება თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის, გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვის დღის მომდევნო დღიდან.
- 2'. საურავის დარიცხვა წყდება მისი დარიცხვის ვალდებულების წარმოშობის დღიდან 3 წლის გასვლის თარიღიდან.
3. პირის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების, აგრეთვე გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების, რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისა და მზღვეველის შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე, აღნიშნული რეჟიმების დაწყებამდე არსებულ საგადასახადო დავალიანებებზე საურავის დარიცხვა წყდება.
- 3'. სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებას საურავი არ ერიცხება. (5.06.2012. N6395)

4. საურავი შეადგენს გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,05 პროცენტს ყოველი გადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ვადაგადაცილებულ დღედ ითვლება.

5. საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისა და საურავის დარიცხვა ხორციელდება საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

6. ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ პირს საგადასახადო მოთხოვნა ჩაჰბარდა გადასახადის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ, საურავის დარიცხვა განხორციელდება საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან. (15.05.2012. N6211)

7. საურავი არ დაეკისრებათ (იმ გადასახადების გარდა, რომელთა მიმართაც პირს ეკისრება საგადასახადო აგენტის ფუნქცია):

ა) საქონლის/მომსახურების მიმწოდებლებს – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი წლის საქართველოს კანონით და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების საფუძველზე მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულების შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აუნაზღაურებლობის გამო წარმოქმნილ საბიუჯეტო ვალდებულებებზე, მათი ღირებულების ფაქტობრივი დაფინანსების ოდენობისა და მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საერთო მოცულობაში ხვედრითი წილის პროპორციულად;

ბ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტების (მათ შორის, პროექტის მოსამზადებელი ეტაპის) განმახორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებთანაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დადებული აქვს „პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ“ ხელშეკრულება, – ამ პროექტების ფარგლებში წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე. ზემოაღნიშნული პროექტების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 273. საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წესის დარღვევა (8.11.2011. N5202)

პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წესის დარღვევა –
 დადგენილი წესის დარღვევა –
 იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 274. საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა

- დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისთვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა, თუ ვადის გადაცილების პერიოდი 2 თვეს არ აღემატება, -იწვევს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი საგადასახადო თანხის 5 პროცენტის ოდენობით.
- საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენისთვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა, თუ ვადის გადაცილების პერიოდი 2 თვეს აღემატება, -იწვევს დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი საგადასახადო თანხის 10 პროცენტის ოდენობით.
- თუ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი საგადასახადო თანხა ნულის ტოლია, პირს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება.

საილუსტრაციო მაგალითი:

შპს „მარმელად“-მა, თებერვლის თვის დღგ-ის დეკლარაცია, რომელიც უნდა წარედგინა 15 მარტამდე, წარადგინა დაგვიანებით 5 მაისს. დეკლარაციის მიხედვით გადასახდელი დღგ შეადგენდა 3000 ლარს.

კითხვა: რამდენი იქნება ჯარიმა ჩადენილ საგადასახადო სამართალდარღვევაზე?

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გადამხდელს ეთვლება წარდგენილად დეკლარაცია თებერვლის თვეში, რომლის მიხედვითაც დასაბეგრი თანხა 0-ის ტოლია, ხოლო მაისის თვეში წარდგენილი დეკლარაცია დაგვიანებით წარდგენილია,

სსკ-ის 274-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ჯარიმის გაანგარიშება თუ გადაცილება იქნება 2 თვეზე ნაკლები:

$$16 \text{ მარტიდან } -16 \text{ აპრილამდე} = 1 \text{ თვე}$$

$$16 \text{ აპრილიდან } - 5 \text{ მაისამდე} = 20 \text{ დღე ანუ ერთი არასრული თვე}$$

$$3000 \times 5\% = 150 \text{ ლარი}$$

ჯარიმა შეადგენს 150 ლარს

მუხლი 275. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში საგადასახადო შემცირება

- პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში საგადასახადო თანხის შემცირება, თუ იგი გამოწვეულია საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ პირის საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის მომენტის (პერიოდის) შეცვლით. –

**იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.
(14.06.2011. N4754)**

საილუსტრაციო მაგალითი:

პირს მწლის იანვრისა და თებერვლის სახელფასო ფონდი განსაზღვრული აქვს თითოეულ თვეზე 5000 ლარის ოდენობით. ხელფასების გაცემა ხდება ყოველი თვის ბოლო რიცხვში.

31 იანვარს იანვრის ხელფასებთან 4000 ლართან ერთად ($4000=5000-5000*20\%$) ერთ თანამშრომელზე თებერვლის თვის ხელფასიდან ავანსად ხელზე გაიცა 400 ლარი ($400=500-500*20\%$).

იანვრის და თებერვლის თვეების მიხედვით წარდგენილ საშემოსავლოს თითოეულ დეკლარაციაში პირმა დაელოდა მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის სახით გაცემული ანაზღაურების ნაწილში დააფიქსირა 5000 ლარი. შესაბამისად, წარდგენილი დეკლარაციების მიხედვით დარიცხული და გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობა თითოეული თვის მიხედვით შეადგენდა 1000 ლარს ($1000 = 5000 * 20\%$).

დავალება: განსაზღვრეთ ჯარიმის ოდენობა, რომელიც დაეკისრება პირს ამ სიტუაციაში მასთან ჩატარებული შემოწმების შედეგად.

პასუხი:

იანვრის თვეში განხორციელებული განაცემის ოდენობა, რომელიც უნდა დაფიქსირებულიყო ამავე თვის საშემოსავლოს დეკლარაციაში, უნდა ყოფილიყო 5500 ლარი (რადგან სულ ხელზე გაცემული არის $4000 + 400 = 4400$ ლარი).

ამ შემთხვევაში დარიცხული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ოდენობა იქნებოდა 1100 ლარი ($1100 = 5500 * 20\%$) ნაცვლად 1000 ლარისა.

თებერვლის თვეში განხორციელებული განაცემის ოდენობა, რომელიც უნდა დაფიქსირებულიყო ამავე თვის საშემოსავლოს დეკლარაციაში ნაცვლად 5000 ლარისა უნდა ყოფილიყო 4500 ლარი ($4500 = 5000 - 500$). შესაბამისად დარიცხული და გადასახდელი საშემოსავლო ამ თვის მიხედვით იქნებოდა 900 ლარი ($900 = 4500 * 20\%$) ნაცვლად 1000 ლარისა.

პირს მწლის იანვრის და თებერვლის თვეების მიხედვით ჯამში ხელფასის სახით ხელზე უნდა გაეცა 8000 ლარი ($8000=400*2$ თვეზე), ხოლო საშემოსავლო გადასახადის სახით კი ბიუჯეტში ჯამში უნდა გადაერიცხა 2000 ლარი ($2000=1000*2$ თვეზე). ეს ასეც მოხდა, თუმცა იანვრის თვის დეკლარაციაში წარდგენილი მონაცემების მიხედვით მოხდა გადასახადის შემცირება 100 ლარით, რაც გამოწვეულია საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის პერიოდის შეცვლით. ამიტომ პირი სსკ-ის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად დაჯარიმდება 100 ლარის 10%-ით 10 ლარით.

2. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, გარდა ამ მუხლის პირველი, 2' და 2'2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, -

**იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.
(14.06.2011. N4754)**

2'. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტს არ აღემატება, -

იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

2'. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტზე მეტია და 20 პროცენტს არ აღემატება, -

იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 25 პროცენტის ოდენობით.

3. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში შესამცირებლად გამოანგარიშებული თანხის/დაბრუნებას დაქვემდებარებული თანხის გაზრდა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებადგანიხილება და შესაბამის შემთხვევაში იწვევს ამ მუხლის პირველი-2'2 ნაწილებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 100 000 ლარზე მეტით შემცირება მიიჩნევა გადასახადისგან თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საილუსტრაციო მაგალითი:

შპს „მარმელადი“ შემოწმებული იქნა 25 ნოემბერს. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ მას აპრილის თვის დღგ-ს დეკლარაცია შეცდომით ჰქონდა წარდგენილი და ნაცვლად 15000 ლარისა ბიუჯეტში გადასახდელი დღგ ნაჩვენები ჰქონდა 10 000 ლარის ოდენობით.

კითხვა: რამდენი იქნება ჯარიმის ოდენობა ჩადენილ საგადასახადო სამართალდარღვევაზე.

სსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით ჯარიმა გაითვლება შემცირებული თანხის 50%-ის ოდენობით

$$15000 - 10000 = 5000$$

$$5000 \times 50\% = 2500$$

ჯარიმის ოდენობა იქნება **2500 ლარი**

5. საგადასახადო შემოწმების შედეგად ამ მუხლის შესაბამისად შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახდელად დარიცხული გადასახადების თანხების ოდენობას.

მუხლი 276. სათამაშო ბიზნესის საქმიანობის წესების დარღვევა (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

პირის საქმიანობა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გარეშე ან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ობიექტის დალუქვის გარეშე, თუ ასეთი ვალდებულება დადგენილია კანონით, -

იწვევს პირის დაჯარიმებას ამ ობიექტის მიხედვით კუთვნილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადასახდელი თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 277. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა

1. საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა მისი კანონიერი მოთხოვნის უფლებებელყოფა, რამაც შეაფერხა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება, -

იწვევს პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით. (22.02.2011. N4206)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

იწვევს პირის **დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2 000 ლარის ოდენობით**

მუხლი 278. ყადაღადადებული ქონების განკარგვა და საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს ლუქის ახსნა (22.02.2011. N4206)

საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, **ყადაღადადებული ქონების პირის მიერ განკარგვა ან საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დადებული ლუქის ახსნა –**

იწვევს პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 279. საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის წარუდგენლობა

1. საგადასახადო ორგანოს მიერ ამ **კოდექსით დადგენილი წესით მოთხოვნის შემთხვევაში სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მითითებულ ვადაში ქონების ნუსხის წარუდგენლობა –**

იწვევს პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით (22.02.2011 N4206)

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით **განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით. –**

იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარის ოდენობით.

3. ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხარჯების გაზრდის მიზნით პირის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის **არასწორი ინფორმაციის მიწოდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის თაობაზე –**

იწვევს პირის დაჯარიმებას წარდგენილი ინფორმაციის შედეგად დაუდასტურებელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის სააღრიცხვო ღირებულებით.

4. ნაწილი ა მ ო დ ე ბ უ ლ ი ა.

5. ნაწილი ა მ ო დ ე ბ უ ლ ი ა.

მუხლი 280. გადასახადის უკანონო ჩათვლა

1. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების შედეგად ან ყალბი დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტით ჩათვლის განხორციელება –

იწვევს პირის დაჯარიმებას ჩათვლილი გადასახადის თანხის 200 პროცენტის ოდენობით (15.05.2012. N6211)

2. შემთხვევებს და გარემოებებს, როდესაც ოპერაცია შეიძლება ჩაითვალოს უსაქონლოდ ან/და გარიგება – ფიქტიურად, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 281. საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა

1. **მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა –**

იწვევს გადასახადის გადამხდელის (გარდა ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის დამქირავებელი ფიზიკური პირისა) დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (ეს ნაწილი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)

2. ამოღებულია (8.11.2011. N5202)

3. მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა –

იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

4. ამოღებულია (20.05.2011. N4705)

5. ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება –

იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

6. ამოღებულია (20.05.2011. N4705)

7. გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის (გარდა GPRS-ის და CRYPTO-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატებისა) დაკარგვა, თუ დადგენილი არ არის, რომ ეს გამოწვეულია სხვა პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, –

იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით. (15.05.2012. N6211)

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენიდან 60 დღის განმავლობაში, –

იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 6 000 ლარის ოდენობით.

8¹. ამოღებულია (22.06.2012. N6547)

9. ავტოგასამართ ან/და აირგასამართ ან/და აირსავესებ საკომპრესორო სადგურში მადოზირებელ ან/და მრიცხველ მექანიზმზე საგადასახადო ორგანოს ლუქის არქონა ან დაზიანებული ლუქის ქონა იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

10. ამ მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 15 000 ლარის ოდენობით.

11. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ამ მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაადგინოს ჯარიმის განსხვავებული ოდენობები, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის პირველი-მე-10 ნაწილებით დადგენილი ჯარიმების 5 პროცენტისა.

მუხლი 282. დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა –

იწვევს პირის დაჯარიმებას რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა გათავისუფლებული ოპერაციებისა) თანხის 5 პროცენტის ოდენობით.

2. საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ მყიდველის მოთხოვნისას მასზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუცემლობა –

იწვევს პირის დაჯარიმებას დასაბეგრი ოპერაციის მიხედვით დღგ-ის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

3. პირის მიერ **ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა –**

იწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის ამ კოდექსის 274-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ გამოიყენება.

მუხლი 283. ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა

1. პირის საბანკო ანგარიშზე ფულის არსებობისას ბანკის მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადარიცხვის თაობაზე ამ პირის საგადახდო **დავალების ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, –**

იწვევს დაჯარიმებას ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების იმ ნაწილის 0,15 პროცენტის ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის, რომელიც ექვემდებარებოდა საინკასო/საგადახდო დავალებით მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედება, **თუ მას თან ახლავს ფულადი სახსრების ამ კოდექსის 54-ე მუხლის 1¹ ნაწილისა და 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის გაუთვალისწინებლად სხვა მიმართულებით გადარიცხვა, –**

იწვევს დაჯარიმებას სხვა მიმართულებით გადარიცხული თანხის 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა და არა უმეტეს საინკასო/საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ოდენობისა. (15.05.2012. N6211)

3. ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელისათვის **საბანკო ანგარიშის გახსნა იმ დოკუმენტის წარდგენის გარეშე,** რომლითაც დასტურდება გადასახადის გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება (გარდა უცხოური საწარმოსი და ფიზიკური პირისა, რომლებიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას), აგრეთვე საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების ან საინკასო დავალების წარდგენის შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების არსებობისას ამ გადასახადის გადამხდელისათვის სხვა ანგარიშის გახსნა –

იწვევს დაჯარიმებას გადასახადის გადამხდელის ანგარიშებზე **შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის 10 პროცენტის ოდენობით,** მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა. (17.12.2010. N4114)

საილუსტრაციო მაგალითი:

გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე საგადასახადო ორგანოს მიერ წარდგენილია საინკასო დავალება. ბანკის მიერ ამ გადამხდელისათვის გახსნილი იქნა ახალი საბანკო ანგარიში, საიდანაც გადამხდელმა განახორციელა 2500 ლარის გადარიცხვა გადამხდელისათვის ახალი ანგარიშის გახსნის შესახებ ბანკმა არ აცნობა საგადასახადო ორგანოს.

დავალება: განსაზღვრეთ ვის და რა ოდენობით დაეკისრება ჯარიმა აღნიშნული სამართალდარღვევისათვის.

პასუხი:

სსკ-ის 283-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საჯარიმო ღონისძიებები გატარდება იმ ბანკის მიმართ, რომელმაც ამოცანის პირობაში მოყვანილ შემთხვევაში პირს გაუხსნა ახალი ანგარიში, განხორციელებინა გადარიცხვის ოპერაცია და ანგარიშის გახსნის შესახებ არ აცნობა საგადასახადო ორგანოს. ჯარიმის ოდენობა, რომელიც დაეკისრება მომსახურე ბანკს, ტოლი იქნება გადასახადის გადამხდელის ანგარიშებზე შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის ანუ 2500 ლარის 10 პროცენტისა, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

$$2500 * 10\% = 250 \text{ ლარი}$$

$$250 \text{ ლარი} < 500 \text{ ლარზე}$$

ამიტომ ჯარიმის ოდენობა ტოლი იქნება 500 ლარის.

- ბანკის მიერ ამ კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად გადასახადის გადამხდელისათვის საბანკო ანგარიშების პირველად გახსნის ან ამ გადასახადის გადამხდელისათვის ბოლო ანგარიშის დახურვის შესახებ ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (შემოსავლების სამსახურთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში – ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში) წარუდგენლობა, თუ ეს გამოწვეული არ არის აღნიშნული პირების მიერ ბანკისა და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, –

იწვევს დაჯარიმებას თითოეულ ანგარიშზე 300 ლარის ოდენობით.

- ბანკის მიერ ამ კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა –

იწვევს დაჯარიმებას თითოეულ ანგარიშზე 300 ლარის ოდენობით. (24.06.2011. N4963)

- ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენამდე ან მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გასავლის ოპერაციის განხორციელება –

იწვევს დაჯარიმებას გასავლის ოპერაციის თანხის 10 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.

- თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონულად გაცვლის შესახებ, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სანქცია გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში.

- ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელის ანგარიშზე ვადის დადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა –

იწვევს დაჯარიმებას იმ თანხის 20 პროცენტის ოდენობით, რომელიც გადასახადის გადამხდელის დავალების შესაბამისად გადაერიცხა სხვა პირს, მაგრამ არა უმეტეს დავალიანების თანხის ოდენობისა. (17.12.2010. N4114)

საილუსტრაციო მაგალითი:

გადასახადის გადამხდელს გააჩნია საგადასახადო დავალიანება, რომელიც შეადგენს 700 ლარს, აღნიშნულის გამო ამ გადამხდელის საბანკო ანგარიშზე დადებულია ყადაღა. მიუხედავად ამისა გადამხდელმა ყადაღადადებული ანგარიშიდან განახორციელა 4000 ლარის გადარიცხვა, რომელიც არ იყო მიმართული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

დავალეზა: განსაზღვრეთ ვის და რა ოდენობით დაეკისრება ჯარიმა აღნიშნული სამართალდარღვევისათვის.

პასუხი:

სსკ-ის 283-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად საჯარიმო ღონისძიებები გატარდება იმ ბანკის მიმართ, რომელმაც ამოცანის პირობაში მოყვანილ შემთხვევაში ყადაღადადებული საბანკო ანგარიშის გამოყენებით გადამხდელს განახორციელებინა საბანკო გადარიცხვა 4000 ლარის ოდენობით, რომელიც არ იყო მიმართული საგადასახადო დავალიანების დასაფარავად. ჯარიმის ოდენობა, რომელიც დაეკისრება მომსახურე ბანკს, ტოლი იქნება გადასახადის გადამხდელის ანგარიშზე შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის ანუ 4000 ლარის 20 პროცენტისა, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა (გამომდინარე იქედან, რომ გადამხდელის საგადასახადო დავალიანების ოდენობა სწორედ 700 ლარის ტოლია.

4000 * 20% = 800 ლარი

800 ლარი > 700 ლარზე

ამიტომ ჯარიმის ოდენობა ტოლი იქნება 700 ლარის.

- 8. პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისა და ბიუჯეტში გადარიცხვის თაობაზე ამ პირის საგადახდო დავალების ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ გადამხდელი წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს, იგი ვალდებულია ბანკის ამ მოქმედების შედეგად გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებული საურავი იმავე ოდენობით დაარიცხოს ბანკს. ასეთ შემთხვევაში პირს სანქცია არ დაეკისრება.

მუხლი 284. საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური ოპერაციების განხორციელების ან/და ფინანსური ოპერაციის განხორციელების ან/და ფინანსური მომსახურეობის გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის ნებადართული ნორმის გადამეტება

მუხლი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი 285. ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება

მუხლი ა მ ო ლ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი 286. საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა (8.11.2011. N5202)

- 1. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის **სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება**, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შექმნისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან **მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო დირექტულება არ აღემატება 10 000 ლარს, –**

იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1

იანვრიდან)

საილუსტრაციო მაგალითი

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმო „გორდელა“ მ/წლის 30 მარტს ანხორციელებდა წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ტრანსპორტირებას, რომელზედაც გამოწერილი არ იყო სასაქონლო ზედნადები. სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ნედლეულის საბაზრო ფასი 8700 ლარის ტოლი იყო.

დავალება: განსაზღვრეთ რა ოდენობის ჯარიმა დაეკისრება საწარმო „გორდელას“ აღნიშნული სამართალდარღვევისათვის.

პასუხი:

შპს „გორდელას“ მიმართ გატარდება საჯარიმო ღონისძიებები.

სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ნედლეულის საბაზრო ღირებულება 8700 ლარი არ აღემატება 10000 ლარს, ამიტომ სსკ-ის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად შპს „გორდელასათვის“ დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა ტოლი იქნება 500 ლარის.

1'. სამეწარმეო საქმიანობისათვის მრგვალი ხეტყის (მორის), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი მრგვალი ხეტყის (მორის), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, -

იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქონლის ჩამორთმევას.

1'2. სამეწარმეო საქმიანობისათვის მრგვალი ხეტყის (მორის), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი მრგვალი ხეტყის (მორის), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტების საბაზრო ღირებულება აღემატება 1 000 ლარს, მაგრამ არ აღემატება 10 000 ლარს, -იწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით და საქონლის ჩამორთმევას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული **ქმედება, ჩადენილი განმეორებით.**

იწვევს პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

3. ამოღებულია (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

3'. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება 10 000 ლარს აღემატება, -

იწვევს პირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3'2. ამ მუხლის 1' ან 1'2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება 10 000 ლარს აღემატება, -

იწვევს პირის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით და საქონლის ჩამორთმევას.

4. გადასახადის გადამხდელთან **სააღრიცხვო დოკუმენტაციაში** აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გამოვლენა -

იწვევს პირის დაჯარიმებას გამოვლენის მომენტში ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების **50 პროცენტის** ოდენობით.

საილუსტრაციო მაგალითი:

შპს “ნანო” – ს შემოწმების შედეგად საგადასახადო ორგანომ საწარმოში გამოავლინა აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე არსებული საქონელი რომლის საბაზრო ღირებულება **42 000 ლარია**, ასევე აღრიცხული, ოღონდ პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე მიღებული საქონელი, რომლის საბაზრო ღირებულება **10 000 ლარია**.

კითხვა: რამდენი ლარით დაჯარიმდება აღნიშნული საწარმო საგადასახადო სამართალდარღვევისთვის?

286-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად საწარმო დაჯარიმდება აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე საქონლის **საბაზრო ფასის** ოდენობით, **42 000 ლარით**

5. ამ მუხლის პირველი-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი სანქცია გამოიყენება, თუ სასაქონლო ზედნადებში არ არის მითითებული ან არასწორად არის მითითებული (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რომელმაც არ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს შედეგზე):
 - ა) დოკუმენტის შედგენის თარიღი ან/და ნომერი;
 - ბ) სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი;
 - გ) საქონლის დასახელება ან/და რაოდენობა.
6. პირს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება:
 - ა) საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პირველადი (სამრეწველო გადამუშავებამდე – სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პროდუქციის, აგრეთვე რეგულარული ან უწყვეტი წესით საქონლის (ელექტრო- ან თბოენერგია, გაზი, წყალი) ტრანსპორტირების ან მიწოდების შემთხვევაში;
 - ბ) საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტებით ტრანსპორტირების შემთხვევაში; (27.03.2012. N5942)
 - გ) სპეციალური დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის არსებობისას;
 - დ) თუ ხორციელდება მხოლოდ იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელება, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ აქვს და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.
 - ე) გაზეთების, ჟურნალებისა და მათი გამომცემლების მიერ მათთან ერთიან შეფუთვაში მოქცეული საქონლის ტრანსპორტირებისას, გარდა გამომცემლის მიერ პირველადი მიწოდების შემთხვევისა. (15.05.2012. N6211)
 - ვ) საგანგებო სიტუაციებში და გადაუდებელი დახმარების გაწევის (სახანძრო, სამაშველო, გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევის, ბუნებრივი გაზით, წყლით, ელექტროენერგიით მომარაგების ან საკანალიზაციო სისტემების ავარიული დაზიანების აღმოფხვრის) აუცილებლობის მიზნით, შესაბამისი საქონლის ტრანსპორტირებისას; (12.06.2012. N6446)

- ზ) თუ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასაქონლო ზედნადები არ გამოიწერება. (12.06.2012. N6446)
7. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები არ დაეკისრებათ მიკრო ბიზნესის და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს, აგრეთვე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს (გარდა ამ კოდექსის 95³ მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში.
8. ამ მუხლის მიზნებისათვის:
- ფული და საბანკო პლასტიკური ბარათები არ არის საქონელი;
 - მვირფასი ლითონებისა და ქვების, ასევე ნუმიზმატიკური ფასეულობის ტრანსპორტირებისას სასაქონლო ზედნადების გამოწერა სავალდებულო არ არის, თუ აღნიშნული ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომერციული ბანკის მიერ, ასევე უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, სპეციალურად დაცული ან კონტროლის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალებით.
9. გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად. ამასთანავე, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, პირი დამატებით ჯარიმდება ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.
10. ამ მუხლის მე-4 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები არ გამოიყენება, თუ:
- სააღრიცხვო დოკუმენტაციაში (სსკ.მ.8-22) აღურიცხველი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზედმეტობის ან/და დანაკლისის (სსკ. მ 8-11) ოდენობა არ ამავე სახის აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების 2 პროცენტს არ აღემატება.
 - გადასახადის გადამხდელმა ზედმეტობის ან/და დანაკლისის შესახებ ინფორმაცია ასახა საგადასახადო ანგარიშგებაში ან/და მიაწოდა საგადასახადო ორგანოს ინვენტარიზაციის ან საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე და ამ ინფორმაციის თანახმად, ზედმეტობა აღიარებულია სარგებლად, ხოლო დანაკლისი – მიწოდებად.
11. ამ მუხლის მე-4 ნაწილით ან მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, – **იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.**
12. ამ მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – **იწვევს პირის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 400 ლარის ოდენობით.**
13. ამ მუხლის პირველი, 1¹ და 1² ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება, აგრეთვე საქონლის დათვლა თანმხლებ საბუთებთან შესაბამისობის დასადგენად და აღნიშნული პროცედურების დასაფიქსირებლად გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები. შესაბამისი პირისა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

- ამ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით განსაზღვრულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს საქონელს. ამ მუხლით გათვალისწინებული ყადაღის დადების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

15. ნაწილი ა მოღე ბ უ ლ ი ა

მუხლი 287. ამოღებულია (24.06.2011. N4963)

მუხლი 288. მიკრო და მცირე ბიზნესის საქმიანობის წესის დარღვევა

ქმედება, რამაც ამ კოდექსის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილით ან 89-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ან "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის ან მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება,

იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 288' სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ საქმიანობის წესის დარღვევა (13.10.2011. N5120)

- სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ამ კოდექსის 24' მუხლის მე-4 ნაწილის "დ.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის იმავე ქვეპუნქტით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე გადამეტება – იწვევს დაჯარიმებას გადამეტებული თანხის 10 პროცენტის ოდენობით.
- სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ შემდგომი მიწოდების მიზნით საქართველოს საქონლის შესყიდვა – იწვევს დაჯარიმებას შესყიდული საქონლის საბაზრო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით.
- სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ მომსახურების გაწევა საქართველოს საწარმოს ან/და უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებისათვის საქართველოში –

იწვევს დაჯარიმებას ასეთი მომსახურებიდან მიღებული ან/და მისაღები კომპენსაციის თანხის 50 პროცენტის ოდენობით. 4-8.11.2011. N5202)

მუხლი 288'2 ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის წესის დარღვევა (15.05.2012. N6211)

- ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის შეჩერების პერიოდში **ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ამ საქმიანობის განხორციელება – იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.**
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის **დაბეგვრის ობიექტის დამატება საგადასახადო ორგანოსთვის შეტყობინების გარეშე – იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.**

მუხლი 288'3. სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდება, ტრანსპორტირება, ექსპორტი, იმპორტი (15.05.2012. N6211)

სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდება, ტრანსპორტირება, ექსპორტი, იმპორტი – იწვევს მწარმოებლის ან იმპორტიორის

დაჯარიმებას **მარკირების გარეშე გამოვლენილი სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის საბაზრო დირექტორების ოდენობით. მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა.**

მუხლი # 288'4 - საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, დაგვიანებით წარდგენა ან/და არასწორად წარდგენა

1. დაქირავებულის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხის ზედმეტად დაბრუნება ან/და საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში ზედმეტად ჩათვლა, რაც გამოწვეულია საგადასახადო ორგანოსათვის საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობით, დაგვიანებით წარდგენით ან/და არასწორად წარდგენით, -

იწვევს ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების მქონე პირის დაჯარიმებას ზედმეტად დაბრუნებული ან/და საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში ზედმეტად ჩათვლილი თანხის ორმაგი ოდენობით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ გამოიყენება, თუ საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაცია წარდგენილ იქნა საგადასახადო ორგანოს მიერ დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 289. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები (სათაური (27.03.2012. N5942)

მუხლი ა მ ო დ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი 290. სანებართვო პირობების შეუსრულებლობა (8.11.2011. N5202)

მუხლი ა მ ო დ ე ბ უ ლ ი ა .

მუხლი # 290'2 - ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა

1. ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის გამოვლენა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საკონტროლო-სალარო აპარატით, -

იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით თითოეული ისეთი არასტაციონარული სავაჭრო ადგილისათვის, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საკონტროლო-სალარო აპარატით.

2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემა იმ პირზე, რომელიც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული არ არის, -

იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

3. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის დამქირავებელი პირების შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ან/და არასწორი/არასრული ინფორმაციის წარდგენა -

იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 291. სხვა ჯარიმები

პირის მიერ ამ **კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა**, რისთვისაც ამავე კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, -

იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

თავი XLI

საგადასახადო შეთანხმება

მუხლი 292. საგადასახადო შეთანხმების არსი (24.06.2011. N4935)

1. საგადასახადო შეთანხმება შესაძლებელია გაფორმდეს შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის გადასახადის გადამხდელის:

- ა) საგადასახადო დავალიანების/საგადასახადო დავალიანების ნაწილის შემცირების მიზნით;
- ბ) იმ მოსაკრებლის თანხის ან/და მასთან დაკავშირებული ჯარიმისა და საურავის შემცირების მიზნით, რომლის ადმინისტრირებასაც საგადასახადო ორგანო ახორციელებს.

2. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ამ კოდექსის 155-ე და 205-ე მუხლების შესაბამისად დარიცხულ მიმდინარე გადასახდელებზე.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება ამ კოდექსის 293-ე-295-ე მუხლები.

მუხლი 293. საგადასახადო შეთანხმების გაფორმება (20.05.2011. N4705)

1. გადასახადის გადამხდელი საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს. **შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია** (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

- ა) უარი თქვას გადასახადის გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე;
- ბ) აღნიშნული განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრს საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის მიზნით.

2. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, რომელიც განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხის ოდენობასა და გადახდის ვადას.

3. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება შეასრულოს ამ შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში.

4. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაწილობრივ ან სრულად გაუქმების/არგამოყენების შესახებ.

5. საგადასახადო შეთანხმების პირობების შესრულების შემდეგ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანება მცირდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო შეთანხმება გაუქმებულად ითვლება და გადასახადის გადამხდელს დაეკისრება ჯარიმა გადაუხდელი თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

7. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ დაუშვებელია შესაბამის საგადასახადო პერიოდზე დეკლარაციით დარიცხული თანხის შემცირება შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის წარდგენით.

8. საგადასახადო კონტროლის შედეგად დამატებით დარიცხული თანხის (საგადასახადო დავალიანების) შემცირების შესახებ საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ დაუშვებელია:

- ა) მაკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ შემოწმებული საგადასახადო პერიოდის ან საკითხის გადამოწმება ან/და გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის/საწესდის დარიცხვა, გარდა იმ პირთან დაკავშირებული საგადასახადო პერიოდისა ან საკითხისა, რომელიც გადასახადის გადამხდელს მასთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ შეერწყა;

ბ) გადასახადის გადამხდელის მიერ დავის დაწყება ან განახლება ახლად აღმოჩენილი/ახლად გამოვლენილი გარემოებების ან მტკიცებულებების საფუძველით.

9. საგადასახადო შეთანხმების გაუქმების შემთხვევაში უქმდება საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელის ამ შეთანხმების შედეგად წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები.

10. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 294. საგადასახადო შეთანხმების ფორმა

1. საგადასახადო შეთანხმების აქტი ფორმდება შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის.

2. საგადასახადო შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს:

- ა) გადასახადის გადამხდელის დასახელება, **საიდენტიფიკაციო ნომერი (სსკ. მ.8-9)** ან სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ასევე სხვა რეკვიზიტები (საჭიროების შემთხვევაში);
- ბ) მიღწეული შეთანხმების შინაარსი და პირობები;
- გ) საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრების ვადა და წესი.

მუხლი 295. საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრება

გადასახადის გადამხდელმა შეიძლება გაასაჩივროს საგადასახადო შეთანხმება, თუ საგადასახადო შეთანხმება დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ.